

**თიბისი ბანკი და „რაკია საქართველო“ მემორანდუმს  
ბააფორმებზე**

პრესრელიზი

თბილისი, 14 აპრილი, 2009 – დღეს, 16:00 საათზე თიბისი ბანკის სათავე ოფისში თიბისი ბანკსა და „რაკია საქართველოს“ შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდება. ღონისძიებას დაესწრებიან თიბისი ბანკის პრეზიდენტი ვახტანგ ბუცხრიკიძე, „ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის“ ხელმძღვანელი სათია კუმარ ჩათურჯი და კომპანიის „რაკია საქართველო“ დირექტორი ზაზა მიქაძე.

მემორანდუმის ფარგლებში თიბისი ბანკსა და „რაკია საქართველოს“ შორის განისაზღვრება ურთიერთთანამშრომლობის ჩარჩოები შემდეგ საკითხებზე:

- საქართველოს ტერიტორიაზე „რაკია საქართველოს“ ჯგუფის კომპანიებისთვის საბანკო და ფინანსური მომსახურებების შეთავაზება;
- პოტენციური ინვესტორების მოზიდვისა და ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში მათი დამკვიდრების ხელშეწყობის მიზნით კონკრეტული ბიზნეს პაკეტების მომზადება;
- საკრედიტო რესურსებისა და დამატებითი კაპიტალის მოზიდვა;
- ფოთის თავისუფალ ინდუსტრიული ზონაში მოქმედი კომპანიებისთვის საბანკო მომსახურებების პირობების შექმნა.

ამ საკითხებზე დეტალური ხელშეკრულებების დამუშავება მემორანდუმის გაფორმებიდან 3 თვის ვადაში განხორციელდება.

„რაკია საქართველო“ რას ალ ხაიმას საემიროში უდიდესი დეველოპერის “რაკია საინვესტიციო ჯგუფის” წარმომადგენელია საქართველოში. კომპანია არაბეთის გაერთიანებულ საემიროებშია დაფუძნებული და თითოეული მისი პროექტი ხარისხთან, სტაბილურობასთან, მსოფლიო კლასის დაგეგმარებასთან და ბუნებასთან ჰარმონიით გამოირჩევა.

საქართველოში კომპანია ახორციელებს ისეთ მაშტაბურ პროექტებს, როგორცაა თბილისი ჰაითსი, ახალი უბანი ტაბახმელაში და ხუთ ვარსკვლავიანი სასტუმროები ფეშენებელურ ვილებთან ერთად ვარძიაში. ამ პროექტების საერთო ღირებულება 5.5 მილიარდი ამერიკული დოლარია.

- ◆ ფიზიკური პირების მომსახურება;
- ◆ ეკორპორატიული კლიენტების მომსახურება;
- ◆ საინვესტიციო საბანკო მომსახურება;
- ◆ პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერთიფიკატი მიენიჭა;
- ◆ ლიდერი ტექნოლოგიურ სერვისებში;
- ◆ ეო-ბრენდ პროდუქტების ინოვაციური საბანკო სფეროში;
- ◆ ახალი ტიპის ულტრათანამედროვე საბანკო ფილიალების “მომსახურება ბარიერების გარეშე” ინოვაციური საქართველოში;
- ◆ ლიდერული პოზიციები უკავია სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე;
- ◆ პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა;
- ◆ FitchRatings: B and B
- ◆ Moody's: B 3 and Ba3